№ 474

27/01/2023

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის
- "საქპატენტის" თავმჯდომარეს
ბატონ სოსო გიორგაძეს

ბატონო სოსო,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 1-2 თებერვალს დაგეგმილია ორმხრივი შეხვედრა მოლდოვის რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო სააგენტოს დირექტორს ეუგენიუ რუსუსა (AGEPI) და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის თავმჯდომარეს, სოსო გიორგაძეს შორის და „საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერა. ვიზიტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია მრგვალი მაგიდის ფორმატში შეხვედრის ჩატარება, რომელზეც განიხილება მოლდოვის უწყებასთან თანამშრომლობის სამომავლო გეგმები.

გაცნობებთ, რომ როგორც ხელმოწერის ცერემონია, ასევე მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრა ჩატარდება საქპატენტის მცხეთის ოფისში. შესაბამისად, ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს შემდეგი:

- საქპატენტის მცხეთის საკონფერენციო დარბაზის მოწყობა და საწყობიდან შემდეგი სახის საქონლის გამოყოფა: წყალი, მინერალური წყალი, ბრენდირებული ბლოკნოტი, ბრენდირებული კალამი, ყავა, ჩაი, შაქარი, ქაღალდის ერთჯერადი ჭიქა, ერთჯერადი კოვზი, ქაღალდის ხელსახოცები, ორცხობილები;
- მარნის და მუზეუმის მომზადება დათვალიერებისთვის;
- მოლდოვის უწყების ხელმძღვანელისთვის საჩუქრად გადასაცემი მედალიონის, ღვინის, ღვინის ჩასადები ბრენდირებული ჩანთის, A4 ფორმატის ბრენდირებული ჩანთისა და ჭაჭის გამოყოფა;
- პირველ თებერვალს, მოლდოვის რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის გამასპინძლების მიზნით მომსახურების შესყიდვა მცხეთის ტერიტორიზე არსებულ რესტორანში;
- 2 თებერვალს, მრგვალის მაგიდის ფარგლებში ყავის შესვენებისა და ლანჩის უზრუნველსაყოფად ფურშეტის მომსახურების შესყიდვა;
- 2 თებერვლის შეხვედრის მიზნებისათვის, შეხვედრის მონაწილეთა სახელების აღმნიშვნელი წარწერების (ე.წ "name tag") დაბეჭდვა, დამზადებული პროდუქციის საწყობიდან გაცემა და საქპატენტის ვაკის ოფისიდან მცხეთის ოფისში ტრანსპორტირება.

ასევე, გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სტრუქუტურლ ერთეულს უზრუნველყონ მოლდოვის ინტელექტუალური საკუთრების უწყების ხელმძღვანელის დახვედრა თბილისის აეროპორტში 30 იანვარს და ვიზიტის პერიოდში (30 იანვარი -2 თებერვალი) მისი ტრანპორტირება დაგეგმილი დღის წესრიგის შესაბამისად.

დანართი: ვიზიტის დღის წესრიგი

პატივისცემით,

მარიამ კუზანაშვილი

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“
საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების
მართვის სამმართველოს უფროსი